




### სამედიცინო ცენტრი რენტგენის უახლესი აპარატით აღიჭურვა

ელენა ფიგელი წლებია, რაც ახალქალაქის სამედიცინო ცენტრ “იდეალში” ექიმად მუშაობს. როგორც გამოცდილი სპეციალისტი აღნიშნავს, სამედიცინო სფეროში სწორი დიაგნოსტიკა ძალიან მნიშვნელოვანია. ამ კუთხით სამედიცინო ტექნიკა ყოველდღიურად ვითარდება და მთელი განვითარებული მსოფლიო მედიცინაში სწორედ უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით სვამს დიაგნოზს.

“ოცნების დონეზეც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩვენი ცენტრი MORITA IC5 2019 წელს გამოშვებული რენტგენის აპარატით აღიჭურვებოდა. ახლა შეგვიძლია მაღალკვალიფიციური მომსახურება შევთავაზოთ მოსახლეობას. რენტგენის პანორამული აპარატი საოცარი სიზუსტით, კონტრასტითა და რეზოლუციით გვაძლევს სურათს, რაც ძალიან უადვილებს საქმეს სტომატოლოგებს სწორი დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის თვალსაზრისით”, - აცხადებს ქალბატონი ელენა.



პროექტის შედეგად დასაქმდა: 2 ადგილობრივი  
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 64,997.56 ლარი  
ევროკავშირის დაფინანსება: 38,998.54 ლარი  
თანადაფინანსება: 25,999.02



დანადგარის შექმნა შესაძლებელი გახდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, GIPA-სა და LAG-ის მხარდაჭერით. აპარატი არა მხოლოდ სტომატოლოგიური, არამედ ყბა-სახის ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკისთვისაც ახორციელებს. ადგილობრივებს აღარ უწევთ საქართველოს სხვა ქალაქებსა და საზღვარგარეთ წასვლა ზუსტი დიაგნოზის დასადგენად.

როგორც ელენა ფიგელი ამბობს, ყოფილა შემთხვევები, როდესაც დისკი კვლევის ჩანაწერით პაცენტებმა უცხოეთში წაიღეს. ისინი გაოცებას ვერ მალავდნენ, როდესაც გერმანიის წამყვან კლინიკაში და ახალქალაქში ჩატარებული კვლევის შედეგი ერთმანეთს დაემთხვა. მომსახურების ფასიც ხელმისაწვდომია და 30 ლარს შეადგენს.






რაც მთავარია დანადგარი დასხივების ძალიან დაბალი ხარისხით გამოირჩევა და უვნებელია, როგორც პაციენტებისათვის, ასევე თანამშრომლებისთვის. განსაკუთრებით კომფორტული ის ბავშვებისათვის აღმოჩნდა, რადგან ნებისმიერ სიმალლეზე შეუძლია რენტგენოგრაფიული სურათის უსწრაფეს დროში გადაღება.

სრული დატვირთვით მუშაობა, დანადგარმა პანდემიამდე მოასწრო, რადგანაც სტომატოლოგიური მომსახურება გარდა გადაუდებელისა, შეჩერებული იყო. დღესდღეობით სტომატოლოგიური კაბინეტები გაიხსნა და სამედიცინო ცენტრი "იდეალი" რეგულაციების სრული დაცვით განაგრძობს საქმიანობას. მომართვიანობამაც იმატა, საჭირო გახდა თანამშრომლების დამატება. 1 ადგილობრივი უკვე დასაქმდა რეგისტრატურაში, 2 კი ექიმი-რადიოლოგის ლიცენზიის მიღებას ელოდება, რომ შეუდგეს აპარატზე მუშაობას.

ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესება და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება ახალქალაქის მუნიციპალიტეტისა და ზოგადად რეგიონისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სასურველია, მუნიციპალიტეტის სხვა სამედიცინო ცენტრებშიც არსებობდეს თანამედროვე დიაგნოსტიკური აპარატურა. სწორედ ეს შექმნის ახალქალაქში ახალ სამუშაო ადგილებს და შეამცირებს უცხოეთში სამუშაოდ წამსვლელთა რაოდენობას.



ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირის საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხედულების ახალქალაქში პროექტის ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პაჩნოხები აჩიან მეხსი ქოხფსი, ELVA საზოგადოებრივი ჩაჩთულობა და დასავლეთ კოჩკის განვითარების პაჩნოხობა.

ევროკავშირის მხახს უჭეხს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხოჩციედება 2013 წლიდან საეჩთო ბიუჯეტით 179,5 მილიონი ევრო. ENPARD-ის ძიჩითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღაჩიბის დაძღევაა. პროგრამის პიჩვედი ფაზის პიოტიგეტი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ხედულების, ხოლო მეოჩე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზიღას. დამატებითი ინფოჩმაციისათვის იჩიღეთ ვებ-გვეჩედი: [www.enpard.ge](http://www.enpard.ge).